09/01/2025

უწმინდეს პატრიარქ კირილეს საშობაო მილოცვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს უფალი ღმერთისა და ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს შობა მიულოცა, კერძოდ: დიდი ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის უნეტარეს პატრიარქ იოანე X-ს; იერუსალიმის წმინდა ქალაქისა და სრულიად პალესტინის უნეტარეს პატრიარქ თეოფილე III-ს; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს; სერბეთის უწმინდეს პატრიარქ პორფირეს; რუმინეთის უნეტარეს პატრიარქ დანიელს; ბულგარეთის უწმინდეს პატრიარქ დანიელს; ტირანისა და სრულიად ალბანეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოს ანასტასის; ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარეს მიტროპოლიტ საბას; ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტ როსტისლავს; სრულიად ამერიკისა და კანადის უნეტარეს მიტროპოლიტ ტიხონს; ოხრიდისა და მაკედონიის უნეტარეს მთავარეპისკოპოს სტეფანეს. მისალოც გზავნილში ნათქვამია:

გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ ქრისტეს შობის გასხივოსნებულ დღესასწაულს.

ჩვენ ახლა სულიერი ძრწოლვით ვდგავართ განკაცებული მაცხოვრის საოცარი საიდუმლოს წინაშე და ზეცის მხედრობასთან ერთად ვზეიმობთ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლკ. 2:14). ჭეშმარიტად გამოუთქმელია ადამიანების მიმართ შემოქმედის სიყვარულის სიდიადე. „რატომ შეიმოსა უფალმა ჩვენმა ხორცი? – კითხვას სვამს ღირსი ეფრემ ასური. – იმიტომ, რომ თავად ხორცს დაეგემოვნებინა გამარჯვების სიხარული და აღვსილიყო და შეეცნო მადლის ტალანტები“ (ოთხთავის განმარტებიდან).

აღვუვლენთ რა ქება-დიდებას ბეთლემში შობილ მაცხოვარს, ჩვენ ასევე ვლოცულობთ განხეთქილების განკურნებისთვის, უწესრიგობისა და ყოველგვარი მტრობის აღმოფხვრისთვის, იმისათვის, რომ განმტკიცდეს მისი წმინდა ეკლესია, გაიზარდოს რწმენა და გამრავლდეს ერთმანეთის სიყვარული (2 თეს. 1:3).

გისურვებთ სიჯანსაღეს, მშვიდობას და მოუკლებელ შეწევნას ყოველთამომნიჭებელი უფლისგან შემდგომ პირველიერარქიულ მოღვაწეობაში.

ძმური სიყვარულით ქრისტე იესოში,

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

mospat.ru